



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-49. 492320911

თარიღი:28/07/2023

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 103**

**„ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)“-ის პროექტის ფარგლებში გრანტით დასაფინანსებელი პროექტის განხილვისა და მოწონების შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 24 ივლისის N48-4823205118 წერილი, რომელშიც მერი საკრებულოსგან ითხოვს „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)“-ის პროექტის ფარგლებში გრანტით დასაფინანსებელი პროექტის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურში, გელავერის უღელტეხილზე გადასახედისა და ტურისტული დასასვენებელ-სავაჭრო ინფრასტრუქტურის მოწყობა“- განხილვასა და მოწონებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად:

1. მოწონებულ იქნეს „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)“-ის პროექტის ფარგლებში გრანტით დასაფინანსებელი პროექტის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურში, გელავერის უღელტეხილზე გადასახედისა და ტურისტული დასასვენებელ-სავაჭრო ინფრასტრუქტურის მოწყობა“(საპროექტო იდეების განაცხადის ფორმა თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ქუთაისი, კუპრადის ქუჩა №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



EU4ITD – ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)

<b>ზოგადი ინფორმაცია</b>	
საპროექტო იდეის წარმდგენი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
საკონტაქტო პირი	<b>მალხაზ ჩხეიძე</b> - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი. ელ. ფოსტა: <a href="mailto:malkhazchkeidze@gmail.com">malkhazchkeidze@gmail.com</a> საკონტაქტო ტელეფონი: 595959601
CESL-ის საპროექტო პრიორიტეტული მიმართულება	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტურიზმის განვითარება.</li> <li>• ეკონომიკური განვითარება, შემოსავლების და ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა.</li> </ul>
CESL-ის სხვა პრიორიტეტული მიმართულება(ები)	არა
პროექტის სახელწოდება	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურში, გელავერის უღელტეხილზე გადასახედისა და ტურისტული დასასვენებელ-სავაჭრო ინფრასტრუქტურის მოწყობა.
პროექტის მოკლე აღწერა	წყალტუბოს, როგორც ტურისტებისათვის საინტერესო და მიმზიდველი ლოკაციის პოპულარიზაციას დიდად შეუწყობს ხელი სოფელ ბანოჯაში „სათაფლიისა“ და სოფელ ყუმისთავში არსებულმა „პრომეთეს“ მღვიმეებმა, რომელთაც ყოველწლიურად ასი ათასობით ვიზიტორი ჰყავს. თუმცა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში კიდევ მრავლად არის ადგილები, რომლებსაც დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნიათ. ერთ ერთი ასეთი ადგილია - სოფელ ცხუნკურში მდებარე გელავერის უღელტეხილი, რომელიც მდებარეობს ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზაზე, ქალაქ წყალტუბოდან ჩრდილოეთით, 15 კმ-ის დაცილებით (ხონიდან 20 კმ, ქუთაისიდან 25 კმ და ცაგერიდან 40 კმ დაშორებით), ზღვის დონიდან 350 მეტრზე. აქედან იხსნება მშვენიერი, თვალწარმტაცი ხედები, მდინარე ცხენისწყლისა ხეობასა და მთლიანად კოლხეთის დაბლობზე. გელავერი გახლავთ დასვენებისა და გართობის მიმზიდველი ადგილი, სადაც რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის რეგიონებისაკენ მიმავალ (ასევე უკან მომავალ) ტურისტებსა და ვიზიტორებს შეუძლიათ შეჩერდნენ მცირე ხნით, დაისვენონ და დატკბნენ მშვენიერი ხედების ცქერით.

**ზოგადი ინფორმაცია**

წინამდებარე პროექტის მიზნებია: 1) ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, გელავერის უღელტეხილზე გადასახედისა და ტურისტული დასასვენებელ-სავაჭრო ინფრასტრუქტურის მოწყობა. 2) სოფელ ცხუნკურის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი მოსახლეობისთვის (მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების, უმუშევარი ახალგაზრდების, ქალებისა და შშმ პირებისთვის) სამუშაო ადგილების შექმნა, შემოსავლების წარმოქმნა/გაზრდა. 3) გარემოს დაცვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურებისაგან.

პროექტით დაგეგმილი აქტივობების განხორციელების შემდეგ, როდესაც აღნიშნულ ლოკაციაზე, 10 ჰექტრამდე თავისუფალ მიწის ნაკვეთეზე (საკადასტრო კოდები: 29.04.33.235 და 29.04.33.235) მოეწყობა გადასახედი, ავტოპარკინგი, საფეხმავლო ბილიკები, ბარბეკიუთი აღჭურვილი საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები, ფაცხები და დახლები, სასმელი წყლის წყაროები და სველი წერტილები (შშმ პირებისთვის ადაპტირებული), გარე განათება, აქ ერთდროულად 100-მდე ვიზიტორის მასპინძლობა იქნება შესაძლებელი, რომელთაც საშუალება ექნებათ დაისვენონ მშვენიერი ბუნების წიაღში, რესტორნებსა და მარკეტებთან შედარებით იაფ ფასებში შეიძინონ ახლად მოკრეფილი ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეული, ხილი, ჩაი, თაფლი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. თავისი ხელით მოამზადონ, ან მიირთვან აქვე, მათ თვალწინ ახლადმოზადებული ქართული ეროვნული კერძები (მაყალზე შემწვარი მწვადი, თონეში შემწვარი გოჭი და კეციაზე შემწვარი წიწილა, ასევე თონეში გამომცხვარი პური, ხაჭაპური, ნაზუქი და სხვა), დააგემოვნონ განთქმული ადგილობრივი ღვინოები („წიაღი“-ს ცოლიკაური, ალადასტური, უსახელაური და სხვა. აღნიშნული პროექტი შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურისა და მეზობლად მდებარე ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეძილეთის მოსახლეობისთვის, რაც სოფლებში ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს. სოფლების მოსახლეობას (მათ შორის საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს: უმუშევარ ახალგაზრდებს, ქალებსა და შშმ პირებს) საშუალება ექნება ადგილზე გაუკეთოს რეალიზაცია საკუთარ ოჯახურ ფერმერულ მეურნეობაში წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და ხელნაკეთ ნივთებს. აღნიშნული სივრცე აღჭურვილი იქნება ნაგვის ურნებიტა და ბუნკერებით, სადაც მოხდება ტურისტების/ვიზიტორების საყოფაცხოვრებო ნარჩენების ლოკალიზებურად, მოწესრიგებულად შეგროვება და მათი გატანა დანიშნულების ადგილას, რაც საგრძნობლად შეუწყობს გარემოს დაცვას საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურებისაგან.

დაგეგმილი აქტივობები: 1) 2023 წლის მაისში - შეიქმნა საპროექტო ჯგუფი. 2) ივნისში - ჩატარდება საკონსულტაციო შეხვედრები. 3) ივლისში - დასრულდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცესი. 4) ივლისში - საკრებულოს გადაწყვეტილების მიღება პროექტის მოწონების შესახებ. 5) აგვისტოში საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება. 6) აგვისტოში - სახელმწიფო შესყიდვების

**ზოგადი ინფორმაცია**

შესახებ კანონის შესაბამისად ტენდერის გამოცხადება. 7) სექტემბერში - ტენდერის დასრულების შემდეგ, შერჩევა/შეფასების პროცედურა, გამარჯვებული კომპანიის გამოვლენა და მასთან ხელშეკრულების გაფორმება. 8). ოქტომბერში - ხელშეკრულებით (პროექტით) გათვალისწინებული: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურში, გელავერის უღელტეხილზე გადასახედისა და ტურისტული დასასვენებელ-სავაჭრო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების დაწყება-წარმოება. 9) 2023 წლის ოქტომბერი - 2024 წლის მაისი - სამშენებლო სამუშაოების წარმოება, მიმდინარე სამუშაოების ზედამხედველობა და მონიტორინგი, სამუშაოების მიმდინარეობის ყოველთვიური ანგარიშების მომზადება. 11) 2024 წლის მაისი - სამუშაოების დასრულება და დასრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია გამოხატავს სრულ მზადყოფნას თანამშრომლობისთვის და ვალდებულებას იღებს: დააფინანსოს აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტი საკუთარი თანადაფინანსების თანხით, რომელიც შეადგენს პროექტის სრული ღირებულების 5%. მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია წინამდებარე პროექტის შედეგიანად განხორციელებაზე: პროექტით დაგეგმილი აქტივობების დროულად (პროექტით დაგეგმილ ვადებში) და ხარისხიანად (დაექსპერტებული საპროექტო-სახარჯთარღივცვო დოკუმენტაციის შესაბამისად) შესრულებაზე. ასევე, პროექტის დასრულების შემდეგ, პროექტით მოწყობილი ინფრასტრუქტურს მოვლა-პატრონობა-შენახვაზე მისი იჯარით გაცემამდე. ხოლო ქონების იჯარით გაცემის შემდეგ, მოიჯარე (კერძო ბიზნეს სექტორის წარმომადგენელი ორგანიზაცია/პირი) ვალდებული და პასუხისმგებელი იქნება იჯარით ახდებული ქონების მოვლა-პატრონობა-შენახვაზე, საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია მზადაა პროექტის განხორციელების პროცესში მიღებული გამოცდილება გაუზიაროს სხვა მუნიციპალიტეტებს.

პროექტის განხორციელებაში ჩართულია სამოქალაქო სექტორის ორგანიზაცია ა(ა)იპ „წყალტუბოს განვითარების ჯგუფი“, რომელიც ვალდებულებას იღებს: ჩაატაროს საკონსულტაციო შეხვედრები მოსახლეობასთან და ყველა დაინტერესებულ მხარეებთან.

პროექტის განხორციელების ვადაა: 8 თვე, 2023 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი. 2024 წლის იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი.

პროექტის სრული ღირებულება: 500000 (ხუთასი ათასი) ლარი, მოთხოვნილი გრანტის თანხა: 475000 (ოთხასსამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი, საკუთარი თანამონაწილეობის თანხა: 25000 ლარი (ოცდახუთი ათასი ლარი, რომელიც შეადგენს პროექტის სრული ღირებულების 5%-ს).

<b>ზოგადი ინფორმაცია</b>	
<b>პროექტის შინაარსი</b>	
<b>საპროექტო ჯგუფი</b>	<p>ჯგუფის უფროსი:</p> <p><b>გრიგოლ ყურაშვილი</b> - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.</p> <p>ჯგუფის წევრები:</p> <p><b>მალხაზ ჩხეიძე</b> - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი.</p> <p><b>მარეხი კანკაძე</b> - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი.</p> <p><b>იონა ჯოჯუა</b> - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და განვითარების განყოფილების უფროსი.</p> <p><b>კიაზო იობიძე</b> - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და განვითარების განყოფილების უფროსი სპეციალისტი.</p> <p><b>მამუკა გელენიძე</b> - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და განვითარების განყოფილების უფროსი სპეციალისტი.</p> <p><b>კობა გოგოძე</b> - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და განვითარების განყოფილების უფროსი სპეციალისტი.</p>

ზოგადი ინფორმაცია	
	<p><b>თეონა ქობულაძე</b> - სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია: ა(ა)იპ „წყალტუბოს განვითარების ჯგუფი“-ს აღმასრულებელი დირექტორი.</p> <p>საპროექტო ჯგუფის წევრებს შორის შეკრება ტარდება თვეში 2-ჯერ. გადაწყვეტილებების მიიღება ხდება ჯგუფის ყველა წევრთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. საპროექტო ჯგუფის წევრები გამოხატავენ სრულ მზადყოფნას ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.</p>
დასაბუთება	<p>პროექტით დაგეგმილი აქტივობების განხორციელების შემდეგ, როდესაც გელავერის უღელტეხილზე, 10 ჰექტრამდე თავისუფალ მიწის ნაკვეთზე მოეწყობა პროექტით გათვალისწინებული ტურისტული დასასვენებელ-სავაჭრო ინფრასტრუქტურა: გადასახედი, ავტოპარკინგი, საფეხმავლო ბილიკები, ბარბეკიუთი აღჭურვილი საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები, ფაცხები და დახლები, სასმელი წყლის წყაროები და სველი წერტილები (შშმ პირებისთვის ადაპტირებული), გარე განათება, აქ ერთდროულად 100-მდე ვიზიტორის მასპინძლობა იქნება შესაძლებელი, რომელთაც საშუალება ექნებათ დაისვენონ მშვენიერი ბუნების წიაღში, რესტორნებსა და მარკეტებთან შედარებით იაფ ფასებში შეიძინონ ახლად მოკრეფილი ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეული, ხილი, ჩაი, თაფლი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. თავისი ხელით მოამზადონ, ან მიირთვან აქვე, მათ თვალწინ ახლადმომზადებული ქართული ეროვნული კერძები (მაყალზე შემწვარი მწვადი, თონეში შემწვარი გოჭი და კეციაზე შემწვარი წიწილა, ასევე თონეში გამომცხვარი პური, ხაჭაპური, ნაზუქი და სხვა), დააგემოვნონ განთქმული ადგილობრივი ღვინოები („წიალი“-ს ცოლიკაური, ალადასტური, უსახელაური და სხვა). აღნიშნული პროექტი შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურისა და მეზობლად მდებარე ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეძილეთის მოსახლეობისთვის, რაც სოფლებში ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს. სოფლების მოსახლეობას (მათ შორის საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს: უმუშევარ ახალგაზრდებს, ქალებსა და შშმ პირებს) საშუალება ექნება ადგილზე გაუკეთოს რეალიზაცია საკუთარ ოჯახურ ფერმერულ მეურნეობაში წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და ხელნაკეთ ნივთებს. აღნიშნული სივრცე აღჭურვილი იქნება ნაგვის ურნებითა და ბუნკერებით, სადაც მოხდება ტურისტების/ვიზიტორების საყოფაცხოვრებო ნარჩენების ლოკალიზებურად, მოწესრიგებულად შეგროვება და მათი გატანა დანიშნულების ადგილას, რაც საგრძნობლად</p>

ზოგადი ინფორმაცია	
	<p>შეუწყობს გარემოს დაცვას საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურებისაგან.</p>
<p><b>დაკავშირებული ინიციატივები</b></p>	<p>პროექტი წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების მცირე და საშუალოვადიანი განვითარების პროგრამის ნაწილს და შესაბამისობაშია კურორტ წყალტუბოს განვითარების გენერალურ გეგმასთან.</p>
<p><b>პროექტის მიზნები</b></p>	<p>1) ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, გელავერის უღელტეხილზე გადასახედისა და ტურისტული დასასვენებელ-სავაჭრო ინფრასტრუქტურის მოწყობა.</p> <p>2) სოფელ ცხუნკურის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი მოსახლეობისთვის (მათ შორის საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების: უმუშევარი ახალგაზრდების, ქალებისა და შშმ პირებისთვის) სამუშაო ადგილების შექმნა, შემოსავლების წარმოქმნა/გაზრდა.</p>

ზოგადი ინფორმაცია	
	<p>3) გარემოს დაცვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურებისაგან.</p>
<p>აქტივობები</p>	<p>დაგეგმილი აქტივობები: 1) 2023 წლის მაისში - შეიქმნა საპროექტო ჯგუფი. 2) ივნისში - ჩატარდება საკონსულტაციო შეხვედრები. 3) ივლისში - დასრულდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცესი. 4) ივლისში - საკრებულოს გადაწყვეტილების მიღება პროექტის მოწონების შესახებ. 5) აგვისტოში საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება. 6) აგვისტოში - სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის შესაბამისად ტენდერის გამოცხადება. 7) სექტემბერში - ტენდერის დასრულების შემდეგ, შერჩევა/შეფასების პროცედურა, გამარჯვებული კომპანიის გამოვლენა და მასთან ხელშეკრულების გაფორმება. 8). ოქტომბერში - ხელშეკრულებით (პროექტით) გათვალისწინებული: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურში, გელავერის უღელტეხილზე გადასახედისა და ტურისტული დასასვენებელ-სავაჭრო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების დაწყება-წარმოება. 9) 2023 წლის ოქტომბერი - 2024 წლის მაისი - სამშენებლო სამუშაოების წარმოება, მიმდინარე სამუშაოების ზედამხედველობა და მონიტორინგი, სამუშაოების მიმდინარეობის ყოველთვიური ანგარიშების მომზადება. 11) 2024 წლის მაისი - სამუშაოების დასრულება და დასრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.</p>
<p>სამოქალაქო სექტორის ინიციატივები</p>	<p>აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია ა(ა)იპ „წყალტუბოს განვითარების ჯგუფი“-ს ინიციატივას: „წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2020-2024 წლებში“</p>
<p>ხელშეკრულება</p>	<p>პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ხელშეკრულები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1) საგრანტო ხელშეკრულება.</li> <li>2) პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის ხელშეკრულება.</li> </ol>



<p><b>ვადები და ბიუჯეტი</b></p>	
<p><b>პროექტის მომზადების ეტაპები</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1) 2023 წლის მაისში შეიქმნა საპროექტო ჯგუფი.</li> <li>2) ივნისში ჩატარდება საკონსულტაციო შეხვედრები მოსახლეობასთან და დაინტერესებულ პირებთან.</li> <li>3) ივლისში მიღებულ იქნება საკრებულოს გადაწყვეტილება პროექტის მოწონების შესახებ.</li> <li>4) ივლისში დასრულდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცესი.</li> <li>5) ივლისი-აგვისტოში მოხდება ქონებაზე საკუთრებრივი ცვლილების განხორციელება და მიწის ნაკვეთების წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემა.</li> <li>6) აგვისტოში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის შესაბამისად გამოცხადდება ტენდერი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვაზე.</li> <li>7) სექტემბერში ტენდერის დასრულების შემდეგ, ჩატარდება შერჩევა/შეფასების პროცედურა, გამარჯვებული კომპანიის გამოვლენა და მასთან ხელშეკრულების გაფორმება.</li> </ol>
<p><b>განხორციელების ვადა</b></p>	<p>უშუალოდ პროექტის განხორციელების პროცესი გაგრძელდება 8 თვე, საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები დაიწყება 2023 წლის ოქტომბერში და დასრულდება 2024 წლის დეკემბერში.</p>
<p><b>ბიუჯეტი ლარში (სავარაუდო)</b></p>	<p>პროექტის მთლიანი (სავარაუდო) ბიუჯეტი ლარში (ყველა დაფინანსების ჩათვლით): 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი.</p>
<p><b>დაფინანსების წყაროები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• განმცხადებელი – 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი.</li> <li>• CESL პროექტი – 475 000 (ოთხასსამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.</li> <li>• სხვა დონორი ორგანიზაცია – 0 ლარი.</li> <li>• კერძო ინვესტორი – 0 ლარი.</li> <li>• ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოება – 0 ლარი.</li> <li>• პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებელი – 0 ლარი.</li> </ul>

პასუხისმგებლობები	
<p>პროექტის განხორციელების პროცესში</p>	<p>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია გამოხატავს სრულ მზადყოფნას და ვალდებულებას იღებს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1) გაილოს დაექსპერტებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯები.</li> <li>2) დააფინანსოს აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტი საკუთარი თანადაფინანსების თანხით (პროექტის სრული ღირებულების 5%).</li> <li>3) პასუხისმგებელია გრანტის თანხის მიზნობრივ ხარჯვაზე: პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვა/გადახდაზე.</li> <li>4) პასუხისმგებელია პროექტის განხორციელების პროცესის მართვაზე: პროექტით დაგეგმილი აქტივობების დროულად (პროექტით დაგეგმილ ვადებში) და ხარისხიანად (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად) განხორციელებაზე.</li> </ol> <p>სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია ა(ა)იპ „წყალტუბოს განვითარების ჯგუფი“ პასუხისმგებელია თემთან ურთიერთობაზე, მოსახლეობასთან და დაინტერესებულ მხარეებთან საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარებაზე.</p>
<p>პროექტის დასრულების შემდეგ</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იჯარით გაცემამდე პერიოდში, პროექტის ფარგლებში შექმნილი ახალი ინფრასტრუქტურის მართვას, მოვლა/პატრონობას უზრუნველყოფს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია.</li> <li>• იჯარით გაცემის შემდეგ, საიჯარო ვადის პერიოდში, პროექტის ფარგლებში შექმნილი ახალი და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურის მართვას, მოვლა/პატრონობას უზრუნველყოფს მოიჯარე, კერძო სექტორის წარმომადგენელი პირი.</li> <li>• ახალი სერვისების შექმნას (ტურისტებზე ან უმუშევარ ახალგაზრდებზე და ქალებზე ორიენტირებულს) უზრუნველყოფს მოიჯარე, კერძო სექტორის წარმომადგენელი პირი.</li> <li>• წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია, ა(ა)იპ „წყალტუბოს განვითარების ჯგუფი“ და პროექტის ფარგლებში შექმნილი ახალი ინფრასტრუქტურის მოიჯარე კერძო სექტორის წარმომადგენელი პირი, ვალდებულებას იღებენ გაუზიარონ სხვა მუნიციპალიტეტებს პროექტის განხორციელების პროცესში მიღებული ცოდნა/გამოცდილება.</li> </ul>
<p>საკუთრება/ქონებაზე ხელმისაწვდომობა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურში მდებარე 10 ჰექტრამდე საერთო ფართობის მიწის ნაკვეთები (საკადასტრო კოდები: 29.04.33.235 და 29.04.33.235), სადაც უნდა განხორციელდეს აღნიშნული პროექტი, წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.</li> <li>• საჭირო იქნება ზემოაღნიშნული ქონებაზე საკუთრებრივი ცვლილების განხორციელება და მიწის ნაკვეთების წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემა, რაც 2023 წლის ივლისი-აგვისტოს თვეებში ჩატარდება.</li> </ul>

რეგიონული და ინტეგრირებულობის ასპექტები	
<p><b>რეგიონული მასშტაბი</b></p>	<p>მართალია პროექტი არ არის ინტერმუნციპალური, მაგრამ იგი ეხება რეგიონული მნიშვნელობის ადგილს - კუტორტ წყალტუბოს. გარდა ამისა, პროექტის განხორციელების შემდეგ პროექტის შედეგები აისახება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნჯურის და მეზობელი ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეძილეთის მოსახლეობაზე, რომელთაც შესაძლებლობა მიეცემათ ადგილზე გაუკეთონ რეალიზაცია მათ ოჯახურ ფერმერულ მეურნეობებში წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და ხელნაკეთ ნივთებს. რადგან პროექტის განხორციელების ადგილი (გელავერის უღელტეხილი) მდებარეობს ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზაზე, რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის რეგიონებში მიმავალ (ასევე უკან მომავალ) ტურისტებსა და ვიზიტორებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ პროექტის შედეგებით (დაისვენონ და დრო გაატარონ სპეციალურად მათთვის განკუთვნილ კეთილმოწყობილ სივრცეში).</p> <p>აღნიშნულის გათვალისწინებით პროექტი შეიძლება ჩაითვალოს: ინტერმუნციპალურად, შიდარეგიონულად და რეგიონთაშორისადაც.</p>
<p><b>ადგილობრივი ასპექტები</b></p>	<p>პროექტი სრულად ითვალისწინებს და პასუხობს გელავერის უღელტეხილის უნიკალურ/სპეციფიკურ, ბუნებრივ, ისტორიულ-გეოგრაფიულ, ლანდშაფტურ-კლიმატურ მახასიათებლებს, რაც გამოიხატება პროექტის განხორციელების ადგილის ხელსაყრელ და მოხერხებულ ადგილას (ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის შიდასახელმწიფო-ებრივი მნიშვნელობის გზაზე) მდებარეობაში, სადაც მიზანშეწონილია და ეკონომიკურად მომგებიანია კოლხეთის დაბლობზე გადასახედისა და ტურისტული დასასვენებელ-სავაჭრო ინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარება.</p>
<p><b>მულტი სექტორული</b></p>	<p>პროექტი მრავალშედეგობრივია ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებით, კერძოდ:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. პროექტი ხელს უწყობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამოუყენებელი ეკონომიკური პოტენციალის ათვისებას და ახალი ტურისტული სერვისების შექმნა-განვითარებას.</li> <li>2. პროექტი უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისთვის, ქალებისა და უმუშევარი ახალგაზრდებისთვის დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას და შემოსავლების წარმოქმნა-გაზრდას.</li> <li>3. პროექტის განხორციელების შედეგად შექმნილი და კეთილმოწყობილი ახალი ტურისტული დასასვენებელ-სავაჭრო ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი პირობებისა და არსებული ეკოლოგიური ფონის გაუმჯობესებას.</li> </ol>

რეგიონული და ინტეგრირებულობის ასპექტები

რამდენად კვალიფიცურია „კოალიცია“

- საპროექტო ჯგუფი დაკომპლექტებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კვალიფიციური თანამშრომლებით, რომელთაც გააჩნიათ ანალოგიური სახის, მრავალმილიონიანი ბიუჯეტის მქონე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება. მათი უშუალო მონაწილეობითა და ზედამხედველობით, 2021-2022 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შედეგიანად განხორციელდა 3 მილიონამდე ღირებულების 3 ინფრასტრუქტურული პროექტი, „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში.
- სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციას - ა(ა)იპ „წყალტუბოს განვითარების ჯგუფი“, გააჩნია პროექტების შედეგიანად განხორციელებისათვის საჭირო კვალიფიკაცია და მრავალწლიანი გამოცდილება, 2020-2022 წლებში მან შედეგიანად განახორციელა პროექტი - „წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგია“, არასამთავრობო ორგანიზაციის „ფიფლ ინ ნიდ“ მხარდაჭერითა და „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან“ პარტნიორობით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD) ფარგლებში.
- ჯგუფის ყველა წევრი სარგებლობს სრული თანასწორობითა და თანაბარუფლებიანობით.